ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 2925344001**
თარიღი:**10/12/2025**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 122-ე მუხლისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 09 დეკემბრის №28-282534386 წერილის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს მასზედ, რომ ქ. თერჯოლაში, კოსტავას (ყოფილი გიორგაძის) ქ.№2-ში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 519 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს.კ.33.09.36.099) განთავსებულ შენობაში, I სართულზე არსებული 26.32 $м^2$ არასაცხოვრებელი ფართი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, **უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით**, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს სსიპ ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს.''

მუხლი 2. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სოსო ჩაფიჩაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი